ᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲚᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 261 (18803) ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 12 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ — ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲐ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲡᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲯᲚᲔᲑᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ 18 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘᲪ. ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ. ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲓ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР



ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲐ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲡᲐᲒᲠᲔᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲯᲚᲔᲑᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ 18 ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘᲪ. ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲓ ᲨᲠᲝᲛᲝᲑᲔᲜ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ�გᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘ, ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ, ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲛ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲛᲠᲔᲨᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. როგორც სხდომაზე აღინიშნა, თანამედროვე პირობებში ბრიგადები სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ საწარმოთა მუშაობის გაუჯობესების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვის, მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის საქმეში. ამ ბოლო წლებში ვითარდება ახალი ტიპის —კომპლექსური და გამჯერი ბრიგადები, რომლებიც მუშაობენ ერთიანი განწესით და საბოლოო შედეგების მიხედვით უნაზღაურდებათ შრომა. ამ ბრიგადებში უფრო სწრაფი ტემპით იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება სამუშაო დროის დანაკარგები, მომჭირნედ იხარჯება მატერიალური და შრომითი რესურსები, ისახება ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, დისციპლინის განმტკიცების, ნამდვილი კოლექტივიზმის ორმხრივი მომთხოვნელობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთების დამკვიდრების შესაძლებლობანი.

ამასთანავე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის განვითარებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა არსებითი ნაკლოვანებანი. მთელ რიგ დარგებში ბრიგადების შექმნა ფორმალური, „ამპანიური ხასიათისაა, ზოგჯერ იჩენენ უმაქნილი აჩქარებას ამ საქმეში, უპირატესობას ანიჭებენ რაოდენობრივ მხარეს თვისებრივის საზიანოდ. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ბრიგადებს აკომპლექტებენ შიდასაქარხნო დაგეგმვის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, მისი ანაზღაურების სისტემების გაუმჯობესებისათვის საჭირო მუშაობის გაუწევლად. ნელა ხორციელდება პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სტრუქტურის, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა შრომის ბრიგადული ფორმის პირობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ კომუნისტებს — სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის გეგმაზომიერი განვითარებისა და სასწავლებელთა განაწილების გამგემ ა. პ. საყვარელიძემ გააკეთა ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შედგომარეობისა და მისი შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

საბჭომ მოისმინა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორის ო. ვ. ჩიგოგიძის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის ვ. ვ. მოსიაშვილის, საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მთავარი ინჟინრის დ. ვ. მეხრაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმოების ტექნიკური განახლების გამოცდილება თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და საწარმოო გაერთიანება „აზოტში“.

ძირითადი პროდუქციის გამოშვების შრომატევადობის შემცირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორმა ვ. შ. თორდიამ და პარტკომის მდივანმა ა. ს. მიხაილოვმა.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ზ. ი. კერვალიშვილი, პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ო. ნადარაია, პარტიის გარდანების რაიკომის პირველი მდივანი ო. მ. ბოკერია, პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ი. ვ. კობაიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რუსუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. მ. ოკუჯავა, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ი. ჩხიკვიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის . მდივანი გ. ა. ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დიდი და მიზანმართული მუშაობა წარმოებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, აქტიურად ეძებენ სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ორგანიზაციების პარტიორობის ორგანიზაციის ახალ ფორმებს, ფართოვდება მსხვილი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის გამოყენების სფერო, იზრდება მისი ეფექტიანობა.

ბევრმა სამინისტრომ, უწყებამ, გაერთიანებამ და საწარმომ მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა ახალი ტექნიკის დანერგვის დაჯილდოებათა რეალიზაციისათვის, მეტ წილ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში შექმნილია და მოქმედებს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მეცნიერებათა აკადემიამ, ბევრმა უმაღლესმა სასწავლებელმა. მიმდინარეობს მეცნიერების შემდგომი განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ლიდერობის, ახალი რეზერვების ძიების აქტივიზაციის, არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების პროცესი.

საბჭოს სხდომამ გაამახვილა ყურადღება ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ პარტიულ კომიტეტებს უფრო მტკიცედ უნდა მოეთხოვოთ ცალკეული ღონისძიებებიდან გადავიდნენ მართვის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის მაღალ საბოლოო შედეგებს.

სხდომაზე თქვა, რომ უნდა გააქტიურდეს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამის განყოფილებათა საქმიანობა მეცნიერების განვითარების, ახალი ტექნიკის დანერგვის წლიური და ხუთწლიანი გეგმების ჩამოყალიბების დროს, დიხვეწოს ამ მიმართულებით მიმდინარე მუშაობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გულდასმით უნდა ადევნოს თვალი იმას, თუ როგორ სრულდება მიზნობრივი პროგრამები, გამოავლინოს და აღკვეთოს სიძნელენი, რომლებიც ამრკოლებენ მათს დროულ რეალიზაციას.

მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკურმა საბჭოს დანიშნულება ის არის, — ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, რომ უზრუნველყოს კომპლექსური მიდგომა რესპუბლიკის მასშტაბით უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრისადმი.

სხდომამ ურჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ნიადაგ ახორციელებდეს ღონისძიებებს კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, სრულყოფდეს სამეცნიერო ქვეგანაყოფების სტრუქტურულ შემადგენლობას, გეგმაზომიერად ანაწილებდეს ხარჯებს მათი ფონდაღჭურვის გაუმჯობესების მიზნით.

მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებმა, მთელმა რიგმა უწყებებმა და გაერთიანებებმა გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯი ზამოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის გზით, რამაც ხელი შეუწყო მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების მეცნიერული კვლევისათვის. საბჭოს სხდომაზე მიღებულ რეკომენდაციებში ამ მიმართულებას ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ეწოდა.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს რჩება მიეცეთ გააძლიერონ მუშაობა მეცნიერულ კვლევაში აპარატურისა და ხელსაწყოების გამოყენების კოლექტიური ფორმების დანერგვისათვის.

სხდომამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები აქტიურად და ფართოდ იყენებენ ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის გამოცდილებას დფინანსების მთელი ძირითადი წყაროების კონცენტრაციისთვის წარმოების ხელახლა ტექნიკური აღჭურვისა და საწარმოო ფონდების განახლების მიზნით. ამასთანავე აღინიშნა, რომ საჭიროა ეს გამოცდილება კიდევ უფრო ფართოდ გავრცელდეს.

საქართველოს მანქანათსაშენებელ საწარმოებს რჩება მიეცათ ფართოდ გამოიყენონ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გამოცდილება ძირითადი პროდუქციის გამოშვების შრომატევადობის შესამცირებლად.

ყველა განხილული საკითხის გამო საბჭომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. (საქინფორმი).

ᲪᲜᲝᲒᲔᲒᲘ ᲝᲠᲑᲘᲢᲘᲓᲐᲜ

ᲖᲕᲐᲠᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. 10 ნოემბერი. (საკდესი). 136 დღეა მუშაობენ „სალუტ-7“ სადგურში კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი. ბოლო დღეებში დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გრძელდება მუშაობა „პროგრესი-18“ ავტომატურ სატრანსპორტო ხომალდზე. ეკიპაჟმა პრაქტიკულად დაამთავრა ხომალდის განტვირთვა. დამთავრდა სადგურის ტეკვადობაში კოსმოსური ტანკერის ავზებიდან სასმელი წყლის გადატუმბვა. განხორციელდა სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარის მეანგვითია და საწვავით კმაგაწყობა.

დღის განმავლობაში კოსმონავტები „პროგრესი-18“ ხომალდის სატვირთო ნაკვეთურში გადაიტანენ ხანგრძლივი ფრენის დროს გამოყენებულ მოწყობილობას, ჩაატარებენ სამედიცინო უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ დაგეგმილ ფიზიკურ ვარჯიშებს.

კოსმოსურ ორანჟერეა „ოაზისში“ გრძელდება სამუშაოები მცენარეულის ელექტროსტიმულირების გამოყენებით, დაკვირვების ობიექტად არჩეულია თვის ბოლოკი და არაბოდოფსისი. პამიდვრის ღვივის გენეტიკური გამოკვლევა მიმდინარეობს „სვეტობლოკ-მ“ დანადგარზე. მეორე „სვეტობლოკ-ტ“ დანადგარზე დამთავრდა რთულ ბიოლოგიურ ნივთიერებათა ელექტროფორეტიული გაყოფის პროცესების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობათა კვლევის ბიოტექნოლოგიური ექსპერიმენტი.

პარასკევს კოსმონავტებს ექნებათ კომპლექსური სანედიცინო გამოკვლევის დღე.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებითა და ეკიპაჟის მოხსენებებით, ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲗ შობილი საბჭოთა მილიცია ღირსეულად ატარებს სახალხო ხელისუფლების წარმომადგენელთა მაღალ წოდებას. იგი ფხიზლად იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, სოციალისტურ საკუთრებას, სახელმწიფოს ინტერესებს, საბჭოთა ადამიანების უფლებებსა და თავისუფლებებს. ეს ბაზგასმით აღინიშნა 10 ნოემბრის მოსკოვში გამართულ საზეიმო კრებაზე, რომელიც საბჭოთა მილიციის დღეს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არმიის გენერალმა ვ. ვ. ფედორჩუკმა. (საკდესი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მილიციის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა 10 ნოემბერს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში. აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოების, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორმა გ. ი. სერიოდკინმა.

სხდომას დაესწრნენ გ. დ. გაბუნია, ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგე ნ. რ. სიჯაია.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

9-10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში მიმდინარეობდა დემოკრატიული პრესის იმ წარმომადგენლთა— კომუნისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორთა შეხვედრა, რომლებიც ესწრებოდნენ დიდი ოქტომბრის 66 წლისთავის ზეიმს.

შეხვედრაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფერობა, ომის საფრთხის, იმპერიალიზმის აგრესიული გეგმებისა და მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში კომუნისტთა, რევოლუციურ-დემოკრატთა ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით ჩაიარა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘᲡ Რ. Გ. ᲜᲐᲗᲐᲫᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲕᲘᲙᲢᲝᲠᲘᲐᲡ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ახალი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა ცხრა თვის გეგმის შესასრულებლად უწყება-სამინისტროებისა და საწარმოო-ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები.

საბჭოს წევრებთან, სექციების, ქვესექციებისა და საბუშაო ჯგუფების ხელმძღვანელებთან ერთად სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთელ რიგ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები.

ინფორმაცია ახალი ტექნიკის მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმის შესრულების შედეგების, წლიური გეგმის მოსალოდნელი შესრულებისა და 1984 წლის გეგმის პროექტის შესახებ გააკეთა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. ჟორდანიამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ჟ. კ. შარტავამ ილაპარაკა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მოქმედი მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო საბჭოების მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგემ ა. პ. საყვარელიძემ გააკეთა ინფორმაცია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შედგომარეობისა და მისი შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

საბჭომ მოისმინა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის დირექტორის ო. ვ. ჩიგოგიძის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის ვ. ვ. მოსიაშვილის, საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ მთავარი ინჟინრის დ. ვ. მეხრაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმოების ტექნიკური განახლების გამოცდილება თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და საწარმოო გაერთიანება „აზოტში“.

ძირითადი პროდუქციის გამოშვების შრომატევადობის შემცირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკეს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორმა ვ. შ. თორდიამ და პარტკომის მდივანმა ა. ს. მიხაილოვმა.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ზ. ი. კერვალიშვილი, პარტიის ხობის რაიკომის პირველი

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ: ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲠᲯᲔᲑᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲜᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲗᲐ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲠᲯᲔᲑᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲜᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ, ᲛᲘᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲔᲑᲘ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲑᲔᲠᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ, ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲛ, ᲒᲐᲔ

კოლექტივთან ერთად

ДИСЦИПЛИНИС ГАНმტკიცებისთვის ზრუნვა

საერთო მაჩვენებლებში იჩენს თავს

ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი“. მისი შრომითი კოლექტივი თვეში მილიონამდე ცალ ტრიკოტაჟის ნაწარმს უშვებს. საწარმო თავისი არსებობის 23 წლის მანძილზე კუსტარული წარმოებიდან თანდათანობით გაიზარდა მსხვილ გაერთიანებად. ამიტომაც მისი შრომითი კოლექტივიც დიდი ტრადიციების მქონეა, რომელსაც ჰყავს თავისი ძველი კადრი, საშუალო და ახალი თაობა. კოლექტივი კარგად ართმევს თავს სახელმწიფო გეგმა-დავალებათა შესრულებას. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 500 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ტრიკოტაჟის ნაწარმი. ამ კოლექტივის რჩეულია 203 სახალხო კონტროლიორი, რომლებიც განუხრელად იბრძვიან კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

სახალხო კონტროლიორებს კოლექტივში ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული. ისინი აღჭურვილი არიან სათანადო ცოდნით და ახასიათებთ საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმების ჩვევები. მარტო ბოლო ორ წელიწადში მეთაურმა ჯგუფმა მოაწყო 66 რეიდი და 37 შემოწმება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სახალხო კონტროლიორთა უმრავლესობამ. შემოწმება ერთია, მაგრამ მთავარი მაინც ნაკლოვანებათა მიზეზების დადგენა და მათი საბოლოო აღმოფხვრაა. ამ საქმეში მეთაური და საამქრო ჯგუფების დასაყრდენი შრომითი კოლექტივი იყო. ასეთი კონტაქტები დღეისათვის კიდევ უფრო განმტკიცებული და გაღრმავებულია. წლევანდელი ანგარიშგება-არჩევნების დროს ჩვენი გაერთიანების თანამშრომლებმა ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს. ჩვენც არ დავაყოვნეთ მათი გათვალისწინება პერსპექტიულ და კვარტალურ გეგმებში, ყოველდღიურ მუშაობაში. ჯგუფის ბიუროები და სექტორები აანალიზებენ საწარმოს ძირითად ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს, ეს საშუალებას გვაძლევს შემოწმებებისათვის შევარჩიოთ ყველაზე აქტიური და საჭიროროტო საკითხები. ვცდილობთ, რომ შემოწმებანი და რეიდები მასობრივი ხასიათისა იყოს. პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივთან, პარტიული კონტროლის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიებთან, საწარმოს მოწინავე მუშებთან და სპეციალისტებთან ერთად მოწყობილი შემოწმებანი უზრუნველყოფს კონტროლის მასობრიობას და ზრდის მის ეფექტიანობას.

სახალხო კონტროლიორთა საგანგებო ზრუნვის საგანია პროდუქციის ხარისხი. ხარისხისადმი კონტროლის სექტორმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვეტერანი კომუნისტი ქეთევან ძნელაძე, საკონტროლო მუშაობაში ჩააბა საამქროთა ჯგუფების ანალიზიური სეტორები და ბრძოლა გამოუცხადა წუნისმკეთებლებს. მათი შემოწმების მასალების საფუძველზე ამ ბოლო წელიწად-ნახევარში 18 კაცს დაედო დისციპლინური სასჯელი, ხოლო 29 პირს დაეკისრა ფულადი დარიცხვა. ყურადღება ერთი წუთითაც არ დუნდება, არც გარემოება იძლევა ამის საშუალებას. წარმოებაში ჯერ კიდევ მოდის რეკლამაციები უხარისხო პროდუქციის გამო. წელს უკვე გადახდილია 17 ათასი მანეთი ჯარიმა, თუმცა ეს თანხა შარშანდელთან შედარებით ორჯერ ნაკლებია, მაგრამ წუნი საბოლოოდ მაინც არ არის აღმოფხვრილი. იმედი გვაქვს, რომ კოლექტივის მხარდაჭერით მინიმუმამდე შევამცირებთ უხარისხობის გამო დაბრუნებული ნაწარმის რაოდენობას.

სახალხო კონტროლის მეთაური და საამქრო ჯგუფები მუდამ ზრუნავენ შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით საკონტროლო საქმიანობის პარალელურად ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი უმიზეზო გაცდენა-დაგვიანებათა, შიდაცვლისა და მთელი დღის მოცდენების მნიშვნელოვანწილად შემცირებისათვის. მეთაური ჯგუფის მეცადინეობის მიზანი ის არის, რომ ყველა სახალხო კონტროლიორი თვითონ იყოს დისციპლინიანი და წესრიგიანი, რათა მათ ჰქონდეთ შემოწმებისა და მითითების მორალური უფლება. ამასთან დაკავშირებით ფართოდ ვიყენებთ როგორც უდისციპლინოთა დასჯის, ასევე კეთილსინდისიერ მუშაკთა წახალისების სხვადასხვაგვარ ფორმებს. მიმდინარე წელს სახალხო კონტროლიორთა შემოწმების მასალების საფუძველზე 5 კაცს დისციპლინური სასჯელი დაედო, ხოლო 3 თანამშრომელი მატერიალურად იქნა წახალისებული. ჩვენ მტკიცედ გვაქვს შეგნებული, რომ სოციალისტური დისციპლინა გულისხმობს სამუშაო ადგილას თითოეული მუშაკის სრულ უკუგებას. ამას კი შეიძლება მივაღწიოთ როგორც მუშაკის პირადი, ასევე საწარმოო დისციპლინის ამაღლებით.

წარმოების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო კონტროლის ჯგუფებმა უნდა იზრუნონ შრომის ისეთი ორგანიზაციისათვის, რომლის დროსაც აღიკვეთება ხელშემშლელი პირობები და საგრძნობლად გაზრდება შრომის ნაყოფიერება. ამ მიმართულებით გაერთიანებაში კიდევ ბევრია გასაკეთებელი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოგდანოვკის რაიონში ჩვენი სამკერვალო საწარმოების მუშათა 10 პროცენტი ვერ ასრულებს ყოველდღიური გამომუშავების ნორმებს, იმაზე მეტყველებს, რომ მათ წარმოების რომელიღაც რგოლში უჭირთ. სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა შეისწავლა ხელისშემშლელი მიზეზები. გამოვლინდა, რომ თუ მოგვარდება ნახევარფაბრიკატისა და სათანადო ფურნიტურის რიტმული მიწოდება, ფილიალები დაძლევენ ამ მიმართულებით არსებულ ჩამორჩენას. შემოწმების მასალები განიხილა გაერთიანების პარტიულმა ბიურომ. ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი.

სახალხო კონტროლიორთა უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყონ წესრიგი ჩვენს ხელთ არსებული საზოგადოებრივი ქონების მოვლასა და მომჭირნე ხარჯვაში. ამ მიმართულებით ნაკლოვანებათა დროული აღმოჩენისა და ლიკვიდაციის გზით გაერთიანებამ აიცილა ათასობით მანეთი უნაყოფო ხარჯი. სახელდობრ, მთლიანად აღიკვეთა ჯარიმები მომწოდებელი ორგანიზაციებისათვის ტარის დროზე მიუწოდებლობის გამო, რაც თვეში 900 მანეთს აღწევდა ხოლმე. წესრიგი დამყარდა კონტეინერების გამოყენებაში.

გაერთიანების სამღებრო-საგამომყვანო საამქრო ძირითადად ორთქლით მუშაობს, რომელსაც სხვა დაწესებულებებიდან ვიღებთ. წლების განმავლობაში საწარმო ერთი დადგენილი ტარიფით იხდიდა გარკვეულ თანხას, მოძველებული გადამცემების გამო დიდი იყო ორთქლის გაფანტვა გარემოში. საერთო ანგარიშით, ორთქლის ხარჯი ადიდებდა პროდუქციის თვითღირებულებას. სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა ამ საკითხზე მიმართა გაერთიანების მთავარი მექანიკოსის სამსახურს. ამ კოლექტივის სპეციალისტებმა და რაციონალიზატორმა მთავარი მექანიკოსის ა. ჟღენტის ხელმძღვანელობით რამდენიმე თვის დაძაბული მეცადინეობით მიაღწიეს ფრიად ხელშესახებ შედეგს. თუ წინათ მიწოდებულ ორთქლისთვის საწარმო თვეში 28 ათას მანეთს იხდიდა, ამჟამად ეს თანხა 14 ათასამდე შემცირდა.

ჩვენ, ძირეული რგოლები უფრო ახლოს უნდა ვიყოთ წარმოებასთან, ზუსტად განვსაზღვროთ და საამქროზე გამოვიტანოთ დისციპლინის, კანონიერების დარღვევის თითოეული შემთხვევა, ამდენად, კიდევ ბევრი ძიება და საინტერესო საქმიანობა მოგველის, მით უმეტეს, რომ გაერთიანების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაცია, სახალხო კონტროლის ჯგუფები ყოველივე ამას ყურადღებით ეკიდებიან. სრულად არის გამოყენებული კანონით გათვალისწინებული წახალისება, შარშან 14 სახალხო კონტროლიორს, ხოლო წლეულს 17 სახალხო კონტროლიორს შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის მეთაური ჯგუფის რეკომენდაციით დაემატა 3 დღის ფასიანი შვებულება. სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და სექტორების ხელმძღვანელები ქ. ძნელაძე, ა. ერანოსოვა, ს. მნაცაკანიანი, ნ. რეხვიაშვილი, დ. კაპანაძე, ქ. მოდებაძე, შ. შიმშილაშვილი, მ. სარალიძე, გ. ძულიაშვილი, დ. აბუთიძე, თ. ლობჟანიძე წარმატებული საქმიანობისათვის დაჯილდოვებული არიან სახალხო კონტროლის რაიონული, საქალაქო, რესპუბლიკური კომიტეტების სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით, მაგრამ ფაქტია, რომ წარმოებაში ერთიულების საქმიანობით არ განისაზღვრება საერთო მდგომარეობა, მთავარია მთელი კოლექტივის მობილიზება.

ლ. ფირცხალაიშვილი,
თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე.

მაქსების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 192

მგზავრი, ტრანსპორტი

საზოგადოებრივი აზრის მეთვალყურეობით

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭო ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდებში „ხალხის ფხიზელი თვალი“ სისტემატურად გამოაქვეყნებს მასალებს რუბრიკით „საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით“. მასალებში გაშუქდება საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, აქტუალური პრობლემები, შენიშვნები, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

საზოგადოებრივი აზრის საბჭოს პრობლემათა წრე განისაზღვრება სახალხო კონტროლის აქტივისტებთან და მშრომელთა ფართო მასებთან შეხვედრა-საუბრების, სახალხო კონტროლის ორგანოებში შემოსული წერილების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსახლეობის მიერ საზოგადოებრივი აზრის საბჭოსათვის მიწოდებულ წინადადებებს, კრიტიკულ შენიშვნებს, საჩივრებს, ინფორმაციებს ცხოვრების უარყოფით და დადებით მოვლენებზე.

ამჟერად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დავალებით ქ. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელობა უპასუხებს დედაქალაქის გლდანის რაიონის მშრომელთა რამდენიმე კითხვაზე.

კითხვა: გლდანის მიმართულებით მეტროს სადგურ „ელექტროდეპოდან“ № 16 და № 25 მიკროავტობუსების მარშრუტებზე დანიშნული იყო ნახევარექსპრეს-ავტობუსები. წლეულს ივლისიდან ამ ავტობუსების მოძრაობის გაუქმებამ დიდი სიძნელეები შექმნა გლდანის მიმართულებით მგზავრობაში. ამ რაიონის მოსახლეობა კი კვლავ ითხოვს ამ მარშრუტების ავტობუსების დანიშვნას.

პასუხი: აღნიშნულ მარშრუტზე ნახევარექსპრეს-ავტობუსების დანიშვნა დროებითი ღონისძიება იყო, რაც გამოიწვია მიკროატობუსების № 2 საწარმოში შექმნილმა მდგომარეობამ. აქ მთლიანად შეიცვალა ხელმძღვანელობა, დაითხოვეს ბევრი მძღოლი. იმ პერიოდში საწარმოს აკლდა 50 მძღოლი. ამასობაში მოგვარდა მეტროს სადგურ „დიდუბიდან“ გლდანის მიმართულებით დიდი ტევადობის ავტობუსების რაოდენობის გაზრდის საკითხი. ამჟამად მეტროს სადგურ „დიდუბიდან“ გლდანის მიმართულებით მანქანების მოძრაობა მოგვარებულია.

კითხვა: მიმდინარე წლის ივლისიდან გლდანის მიმართულებით მომუშავე მიკროავტობუსების მარშრუტებზე მოძრაობა შეიზღუდა 22 საათამდე, რის გამოც რაიონის მოსახლეობა დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს.

პასუხი: მიმდინარე წლის 10 ივლისიდან მეტროს სადგურ „ელექტროდეპოდან“ გლდანის მიმართულებით მომუშავე მიკროავტობუსების მარშრუტებზე და 20 ივლისიდან ქალაქის სხვა დანარჩენ პუნქტებში მომუშავე მიკროავტობუსების მოძრაობა მძღოლების ნაკლებობის და მათი სამუშაო დღის რეჟიმის დაცვის გამო განისაზღვრა 22 საათამდე.

გასაგებია, რომ ჩვენმა ხალხმა შეიყვარა ამ ტრანსპორტით მგზავრობა მისი კომფორტულობისა და სისწრაფის გამო, მაგრამ, სამწუხაროდ, სატრანსპორტო გაერთიანებას ჯერჯერობით ამ სახის მომსახურების განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია.

კითხვა: გლდანის რაიონის მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ ამ მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსების მუშაობაში მრავალი უწესრიგობა გეგზდება. მაგალითად, პიკის საათების შემდეგ მკვეთრად მცირდება სამარშრუტო მიკროავტობუსების რაოდენობა — ხშირად დადგენილ 22 საათამდეც საერთოდ წყდება მათი მოძრაობა. ხოლო მე-16 მიკროავტობუსების მარშრუტზე დღემდე არ არის დადგენილი ბოლო გაჩერება.

პასუხი: მიკროავტობუსის მე-16 მარშრუტზე ბოლო გაჩერება დაწესებულია გლდანის მასივის მე-4 მიკრორაიონში არსებულ სადისპეტჩერო ჯიხურთან. საწარმოში დისციპლინის განმტკიცების საკითხები ჩვენი ყურადღების ცენტრშია და, ამ მხრივ მალე დავამყარებთ წესრიგს.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა და ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შესაბამისი სამსახური ოპერატიულად ჩაერევიან და დადებითად გადაწყვეტენ გლდანის რაიონის მშრომელთა თხოვნას.

საზოგადოებრივი აზრის საბჭო კი თქვენთან ერთად წესად შეიმოღებს, რომ რუბრიკაში დასმული საკითხების მოგვარების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს სახალხო კონტროლის მომდევნო გვერდში და საერთოდ პრობლემას კონტროლი დაუწესდება, სანამ საზოგადოებრივი აზრი თვითონ არ მოხსნის მას დღის წესრიგიდან.

ახლა კი გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი მოსაზრებანი, წინადადებანი, შენიშვნები ამ საუბრის ირგვლივ და მომავალში ამ რუბრიკისათვის საკითხების შესარჩევად.

ჩვენი მისამართია: 380018, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 8, მთავრობის სახლი — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი, საზოგადოებრივი აზრის საბჭო.

თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის სახალხო კონტროლიორთა უურადღების ცენტრშია კონტროლი ბუთწლედის მესამე წლის ხელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობისადმი. ამასთანავე კონტროლიორები ყოველწლიურად უწყობენ ხელს პროდუქციის ხარისხის აშაღლებას.

წლეულს საწარმომ მომხმარებელს გაუგზავნა 8 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ხელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია. ეს გაცილებით სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს.

ხურათზე: სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები (მარცხნიდან): გამომჭრელები ვიოლეტა დავთიანი და ლიდა ჯიქია, მკერავები ეუფუნა კელაპტრიშვილი და ეკატერინე სტეპანენკო.

პ. იუხანოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს“ უპასუხებს

აფხაზეთის ასსრ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება

ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „ხალხის ფხიზელი თვალი“ დაბეჭდილი წერილი „ჩაშლილი რეისები, უბილეთო მგზავრები“ ავტოსატრანსპორტო მომსახურებაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამის გამო აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც გაერთიანებაში შემავალ სატრანსპორტო საწარმოთა დირექტორების რიგგარეშე გაფართოებულ თათბირზე და საერთო კრებებზე განვიხილეთ. დაისახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ამასთან გალის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი შ. ეზუგბაია და ამავე საწარმოს მთავარი ინჟენერი ი. ზუხბაია განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი ამავე საწარმოს ექსპლოატაციის განყოფილების უფროსის ზ. აქუბარდიას სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. სოხუმის № 2658 ავტოკოლონის მუშაკების მ. ეზუგბაიას, ე. ქარდავას და ა. მატულიანს სასტიკი საყვედური გამოცხადათ, ხოლო ს. შენგელია განთავისუფლებულია სამუშაოდან. სათანადოდ დაისაჯნენ აგრეთვე მძღოლები.

ТБИЛИСИС აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება სტაბილურად მომუშავე შრომითი კოლექტივია. იგი წლების მანძილზე წარმატებით მუშაობს და ასრულებს სახელმწიფო დავალებებს ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. მიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაერთიანებამ ექვსჯერ დაიმსახურა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სამჯერ — დარგის სამინისტროს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

საწარმოო გაერთიანების მიღწევებში თავისი თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ სახალხო კონტროლიორებს. ამას წინათ გამართული ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ მათი საქმიანობა კიდევ უფრო გააქტიურდა იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმებმა.

— ჩვენთან მოქმედებს სახალხო კონტროლიორთა 22 ჯგუფი და 39 საგუშაგო, — ამბობს საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე მ. ქოქრაშვილი, — რომლებშიც გაერთიანებულია 325 კონტროლიორი. ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი შესაძლებლობანი, უნარი და გამოცდილება გასწვდეს შრომითი კოლექტივის ცხოვრების ყველა მხარეს.

გაერთიანების ჯგუფებმა და საგუშაგოებმა ბოლო სამ თვეში მოაწყვეს 60-ზე მეტი რეიდი და შემოწმება, აქედან 4-მეთაურმა ჯგუფმა. ძირითადად კონტროლიორები უკვე აღწევენ შემჩნეული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას.

ფეიქართა მეთაური ჯგუფი

ხშირად ცდებოდა დანადგარები საქსოვ წარმოებაში. ამის მიზეზი გახლდათ საჭირო სიგანის საფუძვლის მასალის ნაკლებობა. ეს შეამჩნიეს მეთაური ჯგუფის კონტროლიორებმა. იმისათვის, რომ უფრო ახლოს გასცნობოდნენ საქმეს, ჯგუფმა შეისწავლა მოცდენის მიზეზები, შემდეგ ადმინისტრაციაში შევიდა წინადადებები დანადგართა სრულყოფის შესახებ. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ეს სრულყოფა სულ ცოტა 25 ათასი მანეთის დაზოგავს წელიწადში.

შემდეგ მეთაური ჯგუფის სექტორის მუშაკებმა საფუძვლიანად შეამოწმეს მიღებული ნედლეულის ხარისხი. რა თქმა უნდა, აღმოჩნდა სერიოზული ხარვეზები. სექტორმა იმსჯელა შემოწმების შედეგებზე და გაერთიანების დირექციაში შევიდა კონკრეტული რეკომენდაციებიც. ეს ცნობილი გახდა ნედლეულის მომწოდებელი ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც გააუმჯობესეს ნედლეულის ხარისხი იმის გათვალისწინებით, რომ ამოსავალი მასალა ანუ ნედლეული არამც და არამც არ უნდა იყოს უხარისხო, რომ გამოშვებული პროდუქციის მაღალხარისხიანობა ნედლეულის მიმწოდებლიდან იწყება.

საქსოვი წარმოების მოსამზადებელ საამქროში სახალხო კონტროლის ჯგუფმა მზის სინათლეზე გამოიტანა ცუდი ხარისხის ქსოვილის გამოშვების ფაქტები. მიაღწია მის აღმოფხვრას და ამ საქმეში დამნაშავეებიც არ დარჩენილან დაუსჯელად.

მეთაური ჯგუფის საქმიანობაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს ერთობლივი მუშაობის პრაქტიკა. ეს კოლექტიურობას და კომპლექსურობას ნერგავს კონტროლიორთა საქმიანობაში. ეკონომიის რეჟიმის ბევრ არსებით საკითხებზე მასობრივი რეიდები და შემოწმებები ეწყობა „კომკავშირული პროექტორის“ შტაბთან და პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად. სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების საკითხებზე გაიმართა ხუთი შემოწმება და რეიდი. გამოირკვა, რომ სამუშაოდან 63 პირი 15 წუთით ან ერთი საათით ადრე წავიდა. ჯგუფის შემოწმების შედეგები პარტიული კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა, რომლის გადაწყვეტილება პრინციპული და მკაცრი იყო.

სახალხო კონტროლიორებს, რომლებსაც მორალური უფლება აქვთ სხვათა საქმიანობას აკონტროლებდნენ და მოითხოვდნენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, გაერთიანებაში ავტორიტეტი აქვთ მოპოვებული. მათ შენიშვნებსა და წინადადებებზე დროულად რეაგირებენ.

ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ კონტროლიორთა ჩარევისთანავე სხვადასხვა საამქროში იზრუნეს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის, თანხების, ნედლეულის, ელექტროენერგიის, წყლის ეკონომიური ხარჯვისთვის.

ТБИЛИСИС აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება სტაბილურად მომუშავე შრომითი კოლექტივია. იგი წლების მანძილზე წარმატებით მუშაობს და ასრულებს სახელმწიფო დავალებებს ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. მიმდინარე ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაერთიანებამ ექვსჯერ დაიმსახურა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და სამჯერ — დარგის სამინისტროს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

საწარმოო გაერთიანების მიღწევებში თავისი თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ სახალხო კონტროლიორებს. ამას წინათ გამართული ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ მათი საქმიანობა კიდევ უფრო გააქტიურდა იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმებმა.

— ჩვენთან მოქმედებს სახალხო კონტროლიორთა 22 ჯგუფი და 39 საგუშაგო, — ამბობს საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე მ. ქოქრაშვილი, — რომლებშიც გაერთიანებულია 325 კონტროლიორი. ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი შესაძლებლობანი, უნარი და გამოცდილება

ДАВЕХМАРОТ, ВАСЛЬАВЛОТ, АЛВЗАРДОТ

მეიდინარეობს მეთოდ

კაბინეტების

დათვალიერება

გორელ სახალხო კონტროლიორთა შორის დიდად პოპულარულია ჩვენი მეთოდიკური კაბინეტი. აქ ყოველდღიურად შეხვდებით სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებს, საგუშაგოების ხელმძღვანელებს, შტატგარეშე ინსპექტორებს, აქტივს. ისინი აქ მოდიან კონსულტაციის, რჩევის, დახმარების მისაღებად. ეცნობიან ახალ ლიტერატურას, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების დადგენილებებს, ინსტრუქციებს, შემოწმებებისათვის საჭირო მასალებს, სანიმუშო კითხვარებს, იზიარებენ სხვათა გამოცდილებას და სხვ.

ჩვენც, მეთოდიკური კაბინეტის მუშაკებს, გვინდა სახალხო კონტროლიორებმა რაც შეიძლება ბევრი რამ შეიძინონ კაბინეტში. ამიტომ ვცდილობთ კაბინეტი, ყოველი სტენდი, გამოფენა, ისე მოვაწყოთ, რომ ჩვენთან რჩევა-დარიგებისათვის მოსულთათვის ყველაფერი ხელმისაწვდომი, ადვილად მისაგნები და ასათვისებელი იყოს. ამ მიზნის ემსახურება ჩვენი ბიბლიოთეკაც, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გამოფენებიც, სტენდებიც, დიაგრამებიც. მაგალითად, ქალაქის საწარმოთა სახალხო კონტროლიორებს დიდად დაეხმარება ჩვენს კაბინეტში მოწყობილი კუთხე „ციფრების ენით“, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენს ქალაქში მრეწველობის განვითარების, პროდუქციის მოცულობისა და რეალიზაციის ზრდის, შრომის ნაყოფიერების, საშუალო ხელფასის მატების, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობის, საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზრდის, ბინათმშენებლობის განვითარებისა და სხვა ბევრ საკითხზე.

მეთოდკაბინეტში სტენდებზეა გამოფენილი წიგნები სახალხო კონტროლიორთა დასამარებლად, მოწყობილი გვაქვს ახალი მეთოდური ლიტერატურის სტენდი, ცალკე გვაქვს გამოფენილი ლიტერატურა სახალხო კონტროლიორთა სკოლების პროპაგანდისტთა დასამარებლად, მოწყობილია მომჭირნეობისა და ყაირათიანობის კუთხე, სადაც გამოკრულია ფოტომასალა ობიექტებზე არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ; აგრეთვე მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხებზე მოწყობილ შემოწმებათა პროგრამები და კითხვარები. მომჭირნეობისა და ყაირათიანობის უზრუნველსაყოფად არის აგრეთვე გამოფენილი საჯაროობის სხვადასხვა საშუალება.

მეთოდიკურ კაბინეტში მოწყობილი ფოტოსტენდები „მათ მობაძვეს კონტროლის უფლება“ და „ჩვენი მოწინავენი“ ასახავს ქალაქის სახალხო კონტროლიორთა სისხლსავეს ცხოვრებას, მათზე გამოსახული არიან საწარმო-დაწესებულებათა მოწინავე სახალხო კონტროლიორები სამუშაო უბნებზე მუშაობის დროს. მეთოდკაბინეტში მოსულ სახალხო კონტროლიორებს ნათელი წარმოდგენა ექმნებათ თავიანთი კოლეგების საქმიანობაზე.

კონტროლის მეთოდიკური კაბინეტი აქტიურად მონაწილეობს ჩვენი საქალაქო გაზეთის „გაბარჯვების“ სახალხო კონტროლის გვერდისათვის მასალების მომზადებასა და მიწოდებაში, გაწყობთ რადიოგადაცემებს ჯგუფების მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების საკითხებზე.

ჯგუფებისა და საგუშაგოებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევა უშუალოდ ადგილებზე მეთოდიკური კაბინეტის უპირველესი მოვალეობაა. ამიტომ ჩვენ რეგულარულად მივდივართ ხოლმე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ვეხმარებით სახალხო კონტროლიორებს კუთხეების მოწყობასა და ლიტერატურით უზრუნველყოფაში, ვაწყობთ კონსულტაციებს ორგანიზატორული და საკონტროლო მუშაობის სხვადასხვა საკითხზე, ვასრულებთ საჭირო მეთოდიკურ სამუშაოებს, ვმონაწილეობთ სახალხო კონტროლიორთა სწავლების, საინფორმაციო-მეთოდიკური მუშაობის სრულყოფის, კონტროლის საჯაროობის უზრუნველყოფის საკითხებზე კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში. ერთი სიტყვით, ვასწავლოთ, აღვზარდოთ სახალხო კონტროლიორები, ფართო აქტივი, ეს მიგვაჩნია ჩვენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით მეთოდიკურმა სამუშაომ შეიმუშავა ჯგუფებისა და საგუშაგოების სახითმუშო სამუშაო გეგმები, შემოწმებათა კითხვარები, შეისწავლა, განაზოგადა და გავრცელა მთელი რიგი მოწინავე ჯგუფების გამოცდილება, მოამზადა რეკომენდაციები საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საჯაროობის საშუალებათა გამოყენების საკითხებზე.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები, განახლდა ჯგუფებისა და საგუშაგოების შემადგენლობა. მათში ახლად არჩეულებს განსაკუთრებული დახმარება და ყურადღება სჭირდებათ. ჩვენ ვცდილობთ უფრო მეტად დავეხმაროთ ჯგუფებს, რომლებიც სუსტად მუშაობენ, მათთან უფრო ხშირად მდგომარეობენ ჩვენი კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორები და მეთოდსაბჭოს წევრები. ისინი არა მარტო ავლენენ ნაკლოვანებებს, არამედ მათს გამოსწორებაშიც მონაწილეობენ. კომიტეტი თავის სხდომებზე პერიოდულად ისმენს ჯგუფების თავმჯდომარეების ანგარიშებს, ისინი საორგანიზაციო განყოფილებასა და მეთოდიკურ კაბინეტში გადიან პრაქტიკას, იღებენ კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხზე.

სისტემატურ მუშაობას ვეწევით სახალხო კონტროლიორთა სწავლების ფართოდ გაშლისათვის. ქალაქში შექმნილია სახალხო კონტროლიორთა 72 სკოლა, პარტიული ორგანიზაციების დახმარებით შერჩეული არიან პროპაგანდისტები. მათთვის ეწყობა თემატური სემინარები, რაც ხელს უწყობს მეცადინეობათა ხარისხის ამაღლებას, მსმენელთა აქტიურობის ზრდას.

სახალხო კონტროლიორთა სწავლების ორგანიზაციის, საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და საჯაროობის საშუალებათა გამოყენების საქმეში სერიოზულ მუშაობას ეწევიან ჩვენი მოწინავე სახალხო კონტროლის ჯგუფები. მათ შორის უპირველესად უნდა აღინიშნოს გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების, „ანალიზელსაწყოს“ საცდელი ქარხნის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, საკონსერვო მრეწველობის, აგროსამრეწველო საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფები და სხვა.

ჩვენი მუშაობის სრულყოფას ბევრად შეუწყო ხელი გამოცდილების გაზიარების მიზნით თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების მეთოდკაბინეტების მუშაობის გაცნობამ. ჩვენი მუშაობით კი ქუთაისელი კოლეგები დაინტერესდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ მომზადებული შევხვდით მეთოდიკური კაბინეტების რესპუბლიკურ დათვალიერებას.

გაფორმდა ახალი სტენდები. ქალაქის ბიბლიოთეკების გაერთიანების სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის ინიციატივით ქალაქის 10 ბიბლიოთეკაში მოეწყო სახალხო კონტროლის შესახებ ლიტერატურის გამოფენა, რაც ხელს უწყობს იმ ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეს, რომელიც სახალხო კონტროლის ორგანოს, მათ პრაქტიკულ საქმიანობას შეეხება.

სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მეთოდკუთხეების გაახლებას. ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დათვალიერ

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუფყეგა

სამუშაო ვიზიტად

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 10 ნოემბერს მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჰ. ჰადამი.

აეროდრომზე სტუმარს დაბვდნენ სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

იმავე დღეს კრემლში დაიწყო ა. ა. გრომიკოსა და ა. ჰ. ჰადამის მოლაპარაკება.

საფუძვლიანად განიხილეს უწინარეს ყოვლისა საკითხები, რომლებიც ეხება მთლიანად ახლო აღმოსავლეთის და კერძოდ ლიბანის მდგომარეობას.

ა. ა. გრომიკომ და ა. ჰ. ჰადამმა დაადასტურეს საბჭოთა კავშირისა და სირიის პრინციპული ხაზი, რომლის მიზანია მხარი დაუჭირონ ლიბანელ ხალხს ლიბანის დამოუკიდებლობისათვის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ა. ჰ. ჰადამმა სირიის ხელმძღვანელობის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის იმისთვის, რომლის მიზანია მხარი დაუჭირონ სირიას, სხვა არაბულ ქვეყნებს ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტური ზრახვებისადმი წინააღმდეგობაში. (საკდესი).

დავიცვათ კაცობრიობის მომავალი

„მსოფლიოს ექიმებო, დავიცვათ და გავაღრმაოთ დაძაბულობის შენელების პროცესი!“, „ვგმობთ ბირთვულ საფრთხეს!“ — ასეთი ლოზუნგებით მოვიდნენ მოსკოვში ომის საწინააღმდეგო მიტინგზე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საკავშირო ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის ექიმები და მეცნიერი მუშაკები.

მიტინგი გახსნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობაში, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ნ. ტრაპეზნიკოვმა.

სიტყვებით გამოვიდნენ ონკოლოგიური ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ნ. ჰ. ბლოხინი; ექიმი გ. ი. გუბკინა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ა. კრაევსკი, ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის სხივური დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი რ. ი. გაბუნია; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. კ. დემიდოვი, მათ ერთსულოვნად მოიწონეს მოწოდება, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში მიიღო „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიო ექიმთა“ III კონგრესმა, და ხელი მოაწერეს მას.

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუფყეგა

● ვიეტნამი

მაღალი შეფასება

პანოი. ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის ბერლინში გამართული XXXVII სხდომის შედეგები და მოიწონეს აქ ვიეტნამის დელეგაციის საქმიანობა.

აქ გამოქვეყნებულ ცნობაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმატებებს და ხაზგასმულია, რომ სოციალისტური სახელმწიფოები მჭიდრო თანამშრომლობით ზრდიან წარმოებას ეკონომიკის საკვანძო დარგებში, აქტიურად ნერგავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, ქმნიან წარმოების განვითარების, „დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრის პირობებს.

კულტურის ქრონიკა

მქუხარე ტაში, აღტაცების შეძახილები

საბჭოთა ბალეტის ოსტატთა გასტროლები ზიმბაბვეში

ხარარე. ამ დღეებში ზიმბაბვეს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქში — გვერუში დაიწყო სსრ კავშირის დიდი თეატრის, ეროონეფის სახელმწიფო და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის აკადემიური ოპერისა და ბალეტის თეატრების ბალეტის მსახიობთა დიდი ჯგუფის გასტროლები. ცეკვის ხელოვნების საბჭოთა ოსტატების ყველა წარმოდგენის ბილეთები მათი გამოსვლის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. ქალაქის საკონცერტო დარბაზი ვერ დაიტია ზიმბაბვეს მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული მუსიკისა და თეატრის ათასობით მოყვარული, აგრეთვე ევროპიდან, ავსტრალიიდან, იაპონიიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი ტურისტები.

მქუხარე ტაშით, შეძახილებით —„ბრავო“ და „ბის“ ხვდებოდნენ მაყურებლები ფართო პროგრამის ყოველ ნომერს. აღტაცების შეძახილებით შეაფასა დარბაზმა ეროონეფელი წყვილის სანია კურტოსმანოვასა და ანატოლი გოლოვანის ოსტატობა, რომლებმაც შეასრულეს ნაწყვეტები ფ. ამორიოს ბალეტიდან „ათას ერთი ღამე“ და ლ. მინკუსის ბალეტიდან „დონ კიხოტი“. სამჯერ გამოძახეს მაყურებლებმა სცენაზე დიდი თეატრის სოლისტები ირინე პროკოფიევა და ნიკოლოზ ფიოდოროვი, რომლებმაც ახალი განწყობილება შეძინეს ფ. შოპენის „7 ვალსს“ და ადაჟიოს პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბიდან“.

მაყურებლებს დიდი ხნით დაამახსოვრდებათ ვორონეფელი თამარ ხატუნცევასა და თბილისელი ვლადიმერ ჯულუხაძის მაღალი ოსტატობა.

ზიმბაბვეს ინფორმაციის, ფოტისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრი ნ. შამუიარირა მიესალმა საბჭოთა მსახიობებს და აღნიშნა, რომ მის ქვეყანაში დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა ბალეტის სკოლისადმი, რომელიც, მისი თქმით, სასცენო ხელოვნების ამ სახეობის კანონმდებელია.

ზიმბაბვეს სიმღერისა და ცეკვის მოყვარულთა მრავალრიცხოვანი თბოვნით საბჭოთა ხელოვნების ოსტატები განაგრძობენ თავიანთ გამოსვლებს და კონცერტებს გამართვენ ქვეყნის კიდევ ხუთ ქალაქში, მათ შორის ხარარეში.

ანგოლა:

ყველანი-რევოლუციის დასაცავად!

ძნელ პირობებში შეხვდა ანგოლელი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულ — ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების 8 წლისთავს, რომელიც 11 ნოემბერს შესრულდა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები ვაშინგტონის ადმინისტრაციის ამკარა წაქეზებითა და დახმარებით მრავალრიცხოვან აგრესიულ აქტებს ახორციელებენ ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1981 წლის აგვისტოდან მათ დაპყრობილი აქვთ ანგოლის კუნენის პროვინციის დიდი ნაწილი.

ამა წლის აგვისტოში სამხრეთაფრიკელმა ვანდალებმა მორიგი ბარბაროსული დანაშაული ჩაიდინეს: მოშიკოს პროვინციის ქალაქ კანგამბას შორსმსროელი ქვემეხებისა და ჰაუბიცების გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს. შემდეგ საქმეში ავიაცია ჩაერია და საჰაერო მეკობრეებმა ასობით უდანაშაულო ადამიანი დახოცეს, ტყეში თავის შეფარებას რომ ლამობდნენ. ახლა ამ ქალაქში სიცოცხლის ნიშნად წყალიც კი არ იგრძნობა. რასისტებმა იგი ფაქტობრივად მკვდარ ქალაქად აქციეს.

რესპუბლიკას დიდძალი მატერიალური ზარალი მიაყენეს. როგორც მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ, ქვეყნის პრეზიდენტმა ჟ. ე. დოს სანტუშმა განაცხადა, საბოლოო ანგარიშით, პრეტორიამ ანგოლას 10 მილიარდ დოლარზე მეტი ზარალი მიაყენა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალიზმის რეაქციული წრეები რასისტულ რეჟიმთან ერთად მოქმედებენ იმ საერთო სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც აფრიკის სახელმწიფოების, კონტინენტის პროგრესული ძალების წინააღმდეგ არის მიმართული.

ანგოლის წინააღმდეგ დანაშაულებრივი საქმიანობა გააქტიურა აგრეთვე რასისტთა კალთას ამოფარებულმა მარიონეტულმა უნიტას დაჯგუფებამ, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ჟ. სავიმბი მეთაურობს. უნიტას ბანდები თავს ესხმიან ანგოლის სოფლების მშვიდობიან მცხოვრებლებს, წვავენ სახლებს, ანგრევენ ხიდებს, სპობენ ნათესებს, ერეკებიან საქონელს, ხოცავენ სრულიად უმწეო უდანაშაულო ადამიანებს, ქალებს, მოხუცებს, ბავშვებსაც კი არ ინდობენ.

ასეთ რთულ ვითარებაში ანგოლელი ხალხის რევოლუციურმა ავანგარდმა — მპლა-შრომის პარტიამ ხალხს მოუწოდა: „სამშობლო საფრთხეშია, ყველანი — რევოლუციის დასაცავად!“.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ იმპერიალისტები, რასისტები და მათი მარიონეტები მიზნად ისახავენ ვითარების დესტაბილიზაციას სამხრეთ აფრიკაში და სურთ აიძულონ ანგოლა გადაუხვიოს მის მიერ არჩეულ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას.

მოწოდების პასუხად ანგოლელი მშრომელები გამოვიდნენ ქუჩებში, რათა ცხადყონ, რომ მზად არიან განაგრძონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, დაიცვან ახალგაზრდა რესპუბლიკის რევოლუციური მონაპოვრები.

ამ დღეებში ქვეყნის გასაწვევ პუნქტებში ხალხმრავლობაა. ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რიგებში დგებიან მუშები და გლეხები, სტუდენტები და მოსამსახურეები.

ათასობით მშრომელი კისრულობს ვალდებულებას გადაჭრებით შეასრულონ საგგბო დავალებანი, მარტო ლუანდაში — ქვეყნის დედაქალაქში ასეთი ვალდებულება ორასამდე საწარმომ იკისრა. სრული სიმძლავრით მუშაობს ქვეყანაში უდიდესი საფეიქრო კომბინატი „ტექსტანგი“, ნედლეულს აქ იღებენ მალანჟის პროვინციიდან, სადაც ანგოლელების მხარდამხარ შრომობენ უზბეკი მებამბეები.

ანგოლელი მშრომელები, სადაც უნდა გიესაუბროთ მათ, უდიდესი სიმპათიით ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირზე — დიდი ლენინის სამშობლოზე, საბჭოთა ადამიანებზე, რომლებიც გულით სოლიდარობენ ანგოლელ ხალხს თავისუფლებისათვის მისი ბრძოლის პირველი დღეებიდანვე. ალბათ არ მოიძებნება ისეთი სფერო, ორი ქვეყნის თანამშრომლობა რომ არ იგრძნობოდეს. სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ადგილობრივი ეროვნული კადრების მომზადებაში — ყველგან საბჭოთა ქვეყანა დიდ დახმარებას უწევს სახალხო ანგოლას.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მოძმე ანგოლელ ხალხთან ერთად აღნიშნავენ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 8 წლისთავს, შემდგომ წარმატებებს უსურვებენ მს ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობაში.

● გზრ

ალიკვეთოს საფრთხე

ბონი. დასავლეთგერმანელი მოჭალაქენი სულ უფრო ღრმა შეშფოთებას გამოხატავენ ვაშინგტონის მხედრიონის იმ საშიში გეგმების გამო, რომ გადაქცევენ მათი ქვეყნის ტერიტორია საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების სასტარტო მოედნად.

როგორც გაზეთი „უწზერეკაატი“ იუწყება, ამ დღეებში მრავალი წერილი და დეპეშა მოსდით ბუნდესტაგის დეპუტატებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მცხოვრებლებისაგან. ისინი მოითხოვენ აღიკვეთოს ბირთვული კატასტროფის საფრთხე, გადაჭრით გაილაშქრონ ვაშინგტონის მილიტარისტული ზრახვების განხორციელების წინააღმდეგ. პარლამენტის დებატების დროს, რომლებიც ნოემბრის მეორე ნახევარში გაიმართება ამერიკის რაკეტების განლაგების საკითხზე.

ფოტოფაქტი

● ინგლისი

გრინემ-კომონის ბაზაზე ჩაიტანეს მოწყობილობა ამერიკული ფრთოსანი რაკეტებისათვის. იგი ჩაიტანა გიგანტურმა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავმა „გელაქსმა“ (სურათზე). გრინემ-კომონის ბაზასთან თავი მოუყარეს მედხანტეებსა და პოლიციის მრავალრიცხოვან რაზმებს, რომლებსაც გამოიყენებენ მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციების საპროტესტო გამოსვლების ჩასახშობად.

იუპი-საკდესის ფოტო.



საერთაშორისო კომენტარი

საშიში ვოიაჟი

ვაშინგტონი ცდილობს შეაკოწიწოს ახალი აგრესიული ალიანსი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეიგანი 4 დღის ვიზიტად ჩავიდა იაპონიაში — შორეული აღმოსავლეთის ტურნეს მარშრუტის პირველ ქვეყანაში, რომლის დროს იგი ეწვევა აგრეთვე სამხრეთ კორეას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოგზაურობის მთავარი მიზანია დაიჩქაროს ტოკიოსა და სეულის მილიტარისტული მზადება, აზია-დასავლეთ ევროპისა და ცენტრალური ამერიკის შემდეგ — ჩაბას ვაშინგტონის გლობალურ სტრატეგიაში, რომლის მიზანია ბრძოლა სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის ძალებთან.

როგორც პრესის ცნობები მოწმობს, მოლაპარაკების დროს რეიგანი აპირებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აზიის ბაზებში ამერიკის ბირთვული იარაღის, მათ შორის პირველი დარტყმის იარაღის განლაგებას. ამით ამერიკის შეერთებული შტატები იმედოვნებს საპასუხო დარტყმების მუქარა შეუქმნის თავის მოკავშირეებს, თვითონ კი თავი ააცილოს მათ. ამრიგად, ვაშინგტონის გეგმები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან. მორეული აღმოსავლეთის ქვეყნების მშვიდობასა და უშიშროებას.

დაწყებულ ვიზიტს კიდევ ერთი მიზანი აქვს — შეაკოწიწოს ამერიკის შეერთებული შტატები-იაპონია-სამხრეთ კორეის აგრესიული ალიანსი. არსებული მონაცემებით, რეიგანი აპირებს იაპონიის განახორციელებინოს უფრო აქტიური ღონისძიებები ახალი სამთა სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის შექმნისათვის. ამასთან ვაშინგტონს სურს თავის პარტნიორებს დააკისროს „პასუხისმგებლობა“ ამ რეგიონში პროამერიკული რეჟიმების შენარჩუნებისათვის. ამერიკის ინფორმაციის საშუალებები აშკარად აღიარებენ ამასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტი რეიგანი არ იტყოდა უარს აზიისა და წყნარი ოკეანის რაიონში გადაატანოს ეგრეთ წოდებული „გრენადის გამოცდილება“. კერძოდ, იაპონიისაგან ელიან დახმარებას ამერიკის შეიარაღებული ძალების მეტი მანევრულობის უზრუნველყოფაში, თუ საგანგებო ვითარება შეიქმნება წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსა და ინდოეთის ოკეანეში.

მაგრამ გრენადის მაგალითი მოწმობს, თუ რა საშიში შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ „პარტნიორობას“; კრიზისულ სიტუაციებში, როგორც ეს გრენადასთან დაკავშირებით მოხდა, ვაშინგტონი გადაწყვეტილებას იღებს მოსაზღვრე ქვეყნების ინტერესების გაუთვალისწინებლად და მით უფრო, მათთან კონსულტაციების გაუწევლად, და ალბათ იაპონიასაც მეტ ანგარიშს როდი გაუწევენ, ვიდრე ინგლისს გრენადის ამბების დროს.

ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ იაპონიის დემოკრატიული საზოგადოებრიობა ოკეანისგაღმელ ვიზიტიორს შეხვდა საპროტესტო მასობრივი მიტინგებითა და დემონსტრაციებით. ათასობით იაპონელი გამოვიდა ტოკიოს ქუჩებში, რათა დაეგმო გამალებული შეიარაღებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის პოლიტიკა, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაცია ადგას, და განეცხადებინა მტკიცე პროტესტი ვაშინგტონის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ იაპონია გადაქცეს ამერიკის იმპერიალიზმის საშიში ავანტიურების კიდევ უფრო აქტიურ თანამონაწილედ.

(საკდესი).

● აშშ

ჯონ ანდერსონის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჯონ ანდერსონმა, რომელიც 1980 წლის არჩევნებში კენჭს იყრიდა როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი, გამოაცხადა ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნა. მან არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ პარტიის სახელით წამოაყენოს თავისი კანდიდატურა 1984 წლის არჩევნებში.

შეეხო რა იმ მიზეზებს, რომლებმაც მას გადაწყვეტინა ეროვნული ერთიანობის პარტიის (როგორც მან თავის ორგანიზაციას უწოდა) შექმნა, ჯ. ანდერსონმა სი-ენ-ენ ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა ამერიკელთა მზარდი უკმაყოფილება ქვეყანაში არსებული ორპარტიული პოლიტიკური სისტემის გამო. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო ასოკ მიღწეულ მცხოვრებთა თითქმის ნახევარი უარს ამბობს პრეზიდენტის არჩევნებში ხმის მიცემაზე.

მოიწონეს კანონპროექტი

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი „უცხოეთის დახმარების შესახებ“, რომელსაც ოფიციალური ვაშინგტონი იყენებს მისთვის სასურველი რეჟიმებისათვის დოლარის წყალობის მისაცემად და „ბრალეული“ ქვეყნებისა და ხალხების დასასჯელად.

ამ მიზნით კანონპროექტის ფარგლებში უკვე დაწყებული საფინანსო წლისათვის გამოიყოფა 11 მილიარდი დოლარი, რაც 373 მილიონი დოლარით აღემატება ანალოგიური პროგრამების შარშანდელ ასიგნებებს.

დავით თორაძე

ქართულმა საბჭოთა მუსიკალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, სკკპ წევრი 1951 წლიდან დავით თორაძე.

დავით ალექსანდრეს ძე თორაძე დაიბადა 1922 წლის 14 აპრილს თბილისში. ზოგადი საშუალო განათლების მიღებასთან ერთად თავიდანვე ამჟღავნებდა განსაკუთრებულ მუსიკალურ მონაცემებს, რის გამოც ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფში საფორტეპიანო (პროფ. ა. ვირსალაძესთან) და საკომპოზიტორო (პროფ. ს. ბარხუდარიანთან) დარგებზე. 1937 წლიდან განაგრძო მეცადინეობა, როგორც თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა. 1939-1941 წწ. მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც კომპოზიციის კურსს გადის გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორთან და პედაგოგთან რ. გლიერთან. 1951 წელს ამთავრებს თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურას.

აქტიურ შემოქმედებით სარბიელზე დ. თორაძე გამოდის 40-იანი წლებიდან და პირველივე ნაწარმოებებით იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას როგორც ელვარე ნიჭის, დიდად პერსპექტიული კომპოზიტორი, გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს ქართულ საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებაში. ამ დროს აქვეყნებს თავის პირველ სიმფონიას, (1946), რომელსაც ეპიგრაფად წარუმძღვარა სიტყვები „სამარადისო დიდება ჩვენი ხამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირებს“. თავისი პირველი ოპერით „მთების ძახილი“ (1947) პირველად ქართულ საოპერო ხელოვნებაში ასახა დიდი სამამულო ომის მძვინვარე დღეები. საკვეყნოდ განძღმული გმირულ-პატრიოტული ბალეტი „გორდა“ (1949) კი მთელი საბჭოთა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდმნიშვნელოვან, საეტაპო მოვლენად იქნა აღიარებული. სწორედ „გორდაში“, შთამაგონებელი მხატვრული ძალით, დიდი მასშტაბით გამოიკვეთა ქართული ბალეტის ეროვნული თავისთავადობა, მისი ძირითადი პეროიკულ-რომანტიკული მიმართულება. ეს სპექტაკლი წარმატებით იქნა ნაჩვენები მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, საზღვარგარეთ— უნგრეთში, პოლონეთში, სახალეტო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე პარიზში. შემთხვევით არ არის, რომ „გორდა“ 30 წლის მანძილზე სცენიდან არ ჩამოსულა. ქართულ ბალეტშიც დ. თორაძე ასევე პირველი გამოეხმაურა დიდი სამამულო ომის გმირულ თემატიკას თავისი ქმნილებით „მშვიდობიანთა“.

მისი ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“ (ლიბრეტო ი. ნონეშვილისა), რომელიც მიეძღვნა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის თემას, ა. ს. გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის სიყვარულის მღელვარე ამბავს, წარმატებით იქნა წარმოდგენილი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში, 1958 წელს. ახლახანს ეს ოპერა ახალი რედაქციით დიდი წარმატებით დაიდგა კუთაისის საოპერო სცენაზე და მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეო თარიღს.

დ. თორაძე თვითგანახლების გზებს ეძებდა და ეროვნულ საწყისებთან ერთად თავისებურად იყენებდა თანამედროვე მუსიკალური აზროვნების ხერხებს. საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში წარმატებით ყღერდა მისი მეორე სიმფონია (1967), რომელიც შთაგონებულია ვალაკტოიოს ტაბიძის ლექსით „ქებათა-ქებანი ნიკორწმინდას“, ასევე საგუნდო პოემათა ციკლი „ქართული ჩანახატები“, მისი ფილმ-ბალეტი „მწირი“, რომელიც საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმების სტუდიამ დადგა, აღინიშნა საბჭოთა და საერთაშორისო პრემიებით. კომპოზიტორის ბოლო ნამუშევრიდან გამოირჩევა საფორტეპიანო კონცერტი. დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა სიმღერებმა კინოფილმებისათვის, საესტრადო და საოპერეტო მუსიკამ.

დ. თორაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1962-1968 წლებში იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. წლების განმავლობაში იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრი, თბილისის საქალაქო საბჭოს და კალინინის რაისაბჭოს დეპუტატი.

დ. თორაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საკომპოზიტორო დარგში. 1978 წლიდან იგი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია. მისი მოწაფეების ნაწარმოებები არაერთგზის აღინიშნა სხვადასხვა ჯილდოებით ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საკავშირო კონკურსებზე და დათვალიერებებზე.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს გამოჩენილი კომპოზიტორის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, 1951 წელს მას მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

სახელოვანი კომპოზიტორის, გულთბილი და კეთილი ადამიანის დავით თორაძის ნათელი სახე მუდამ დარჩება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

ე. ა. შეთვარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. კაბიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქარ. თველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. კაკუნიძე, შ. ს. სანაკოევი, ძ. კ. შარტავა, ნ. შ. ჯანგელიძე, ო. ვ. თაძთაძიშვილი, ა. ა. ფალიშვილი, ნ. ა. ფოფხაძე, გ. შ. ორჯონიკიძე, ნ. ვ. ფუმგაძე, ე. დ. ამაშუკელი, ე. ნ. შენგელია, ა. ვ. ბალანჩივაძე, ა. ნ. მაჭავარიანი, შ. ვ. მუშველიძე, ს. თ. ცინცაძე, ს. ი. ნასიძე, ჯ. ი. კახიძე, ნ. ლ. ბამისაშვილი, გ. დ. ჯაფარიძე, ო. ი. ეჯიბაძე, ა. ვ. შაგერაზაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

თბილისი. ქართველი კომპოზიტორის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დ. ა. თორაძის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა მთავრობის კომისია ამხ. ო. ვ. თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით.

დ. ა. თორაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ალ-ხორეზმის დაბადების 1200 წლისთავის გამო

ფასდაუდებელი მემკვიდრეობა



დიდი მეცნიერის — მათემატიკოსის, ასტრონომოსის, გეოგრაფოსისა და ისტორიკოსის— სრული სახელია: აბუ აბდალაჰ (ანუ აბუ ჯაფარ) მუჰამედ იბნ მუსა ალ-ხორეზმი.

ჩვენს დრომდე ალ-ხორეზმის ბიოგრაფიული ცნობების უმნიშვნელო ნაწილმა მოაღწია. ცნობილია, რომ იგი დაიბადა ხორეზმში — აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფოში, დაახლოებით 783 წელს და გარდაიცვალა IX საუკუნის მეორე ნახევარში (847 წლის შემდეგ).

IX საუკუნის დამდეგისათვის ხორეზმში ჩამოყალიბდა ძველი კულტურის ტრადიციები. საბჭოთა პერიოდის არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ძველ ხორეზმში ცივილიზაცია დიდად იყო განვითარებული: აღმოჩენილია ქალაქების სამხედრო გამაგრებანი და სხვა ნაგებობათა ნანგრევები, სარწყავი არხების სისტემა, რომელმაც განსაზღვრა ამ ქვეყნის ეკონომიკის ძლიერება. ქალაქებში განვითარებული ყოფილა გამოყენებითი ხელოვნება, მხატვრობა, ქერნწვა და სხვა. ხორეზმელებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ქვეკასიასთან, ინდოეთთან, ახლო აღმოსავლეთთან. ამავე გათხრების შედეგად ისიც დადგინდა, რომ ხორეზმელებს დამწერლობაც ადრეულ ხანებში შეუქმნიათ.

ზუსტი მეცნიერების საფუძვლები ხორეზმში მრავალ საუკუნეს ითვლის. იქაურებს საკუთარი კალენდარი უკვე III საუკუნეში ჰქონდათ შემოღებული. ხალდეველნი გავლენით ასტროლოგიაც შეუსწავლიათ. ამ (ცრუ) მეცნიერებას რელიგიის მსახურნი, როგორც სხვაგან, აქაც თავისი მიზნებისათვის იყენებდნენ.

VIII საუკუნის დამლეგს ხორეზმში არაბებმა დაიპყრეს. მათ მოსპეს შუა აზიის კულტურა. იბნ ბერუნის ცნობით, არაბები ხოცავდნენ ხორეზმელ მეცნიერებს, სპობდნენ დამწერლობას, წვავდნენ ხელნაწერებს. ამის გამოა, რომ ბევრმა წერილობითმა საბუთმა ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია.

მომდევნო საუკუნე აღინიშნა ხორეზმში საბუნებისმეტყველო-მათემატიკური მეცნიერების აღორძინებით. იმ მეცნიერთა შორის, ვინც მაშინ თავი ისახელა, ერთ-ერთი პირველთაგანი ალ-ხორეზმია. როგორც მეცნიერი, იგი თავის სამშობლოში აღიზარდა და ჩამოყალიბდა, მაგრამ ბევრი რამ შესძინა მას მეზობელი ქვეყნების მეცნიერულმა მემკვიდრეობამაც.

აღმოსავლელი მეცნიერები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ზუსტი მეცნიერების — მათემატიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, გეოდეზიის მიმართ. მათ ბერძნულიდან არაბულ ენაზე თარგმნეს ევკლიდეს „საწყისები“, პტოლემეოსის „ალმაგესტი“, მენელაის „სფერიკა“ და სხვ. მაგრამ VIII-IX საუკუნეების შუა-ახლოელი მეცნიერები მხოლოდ მთარგმნელები და კომენტატორები როდი იყვნენ, ისინი დამოუკიდებლად იკვლევდნენ ბუნებისმეტყველების დარგებს და მნიშვნელოვანი შედეგებიც მოიპოვეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰალიფ ალ-მამუნის მეფობის პერიოდი (813-833), როცა ბაღდადში დაარსდა „სიბრძნის სახლი“— დაწესებულება, რომელიც დაახლოებით ახლანდელი მეცნიერიერიკის იმპერიალიზმის რეაქციული წრეები რასისტულ რეჟიმთან ერთად მოქმედებენ იმ საერთო სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც აფრიკის სახელმწიფოების, კონტინენტის პროგრესული ძალების წინააღმდეგ არის მიმართული.

ანგოლის წინააღმდეგ დანაშაულებრივი საქმიანობა გააქტიურა აგრეთვე რასისტთა კალთას ამოფარებულმა მარიონეტულმა უნიტას დაჯგუფებამ, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტი ჟ. სავიმბი მეთაურობს. უნიტას ბანდები თავს ესხმიან ანგოლის სოფლების მშვიდობიან მცხოვრებლებს, წვავენ სახლებს, ანგრევენ ხიდებს, სპობენ ნათესებს, ერეკებიან საქონელს, ხოცავენ სრულიად უმწეო უდანაშაულო ადამიანებს, ქალებს, მოხუცებს, ბავშვებსაც კი არ ინდობენ.

ასეთ რთულ ვითარებაში ანგოლელი ხალხის რევოლუციურმა ავანგარდმა — მპლა-შრომის პარტიამ ხალხს მოუწოდა: „სამშობლო საფრთხეშია, ყველანი — რევოლუციის დასაცავად!“.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ იმპერიალისტები, რასისტები და მათი მარიონეტები მიზნად ისახავენ ვითარების დესტაბილიზაციას სამხრეთ აფრიკაში და სურთ აიძულონ ანგოლა გადაუხვიოს მის მიერ არჩეულ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას.

მოწოდების პასუხად ანგოლელი მშრომელები გამოვიდნენ ქუჩებში, რათა ცხადყონ, რომ მზად არიან განაგრძონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, დაიცვან ახალგაზრდა რესპუბლიკის რ

ქართველ ლექცორთა გამოცდილება — საქვეყნოდ!

საქალაქო. საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ განიხილა და მოიწონა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ (გამგეობის თავმჯდომარე ნ. ვ. კომახიძე) მუშაობის გამოცდილება აგროსამრეწველო კომპლექსის შრომითს კოლექტივებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდისათვის. გამგეობამ აღნიშნა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ დიდი მუშაობა, კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესპუბლიკის საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმების, სასურსათო პროგრამის, სახელმწიფო დავალებების, მოწინავე კოლექტივების მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალისტური ვალდებულებების შესრულების, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების მობილიზაციის ლენინური ინტერნაციონალიზმის, ლენინური ერუმაღლესობების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის პროპაგანდა. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოეწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა და ლექციების ციკლი „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი“, „მარქსიზმ-ლენინიზმი სამყაროს გარდამჭქნელი მარად ცოცხალი, რევოლუციური მოძღვრებაა“, „რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავი“, „რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი“ და სხვ.

დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის, იმ საკვანძო პრობლემების პროპაგანდას, რომლებიც უკავშირდება ქვეყნისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციას, მომჭირნეობის და აკაფთიანობას, შრომითი კოლექტივების მთელი სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას.

სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის შრომელებს წაუკითხეს 500 ათასზე მეტი ლექცია, აქედან 300 ათასი — საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის საკითხებზე, მათ შორის, 100 ათასზე მეტი წაკითხულია აგროსამრეწველო კომპლექსის შრომითს კოლექტივებში. რაიონებში მოეწყო 400-ზე მეტი ლექციების ციკლი.

სამრეწველო საწარმოებში, აგროსამრეწველო კომპლექსის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა: „საბჭოთა ეკონომიკა — განვითარების ინტენსიური გზა“, „სსრ კავშირის სასურსათო პროგრამა“. კითხულობენ ლექციების ციკლებს: „შრომა ჩვენი სამშობლოს სიდიადისა და ძლიერების საფუძველია“, „შრომის ნაყოფიერების კარდინალური ზრდა ჩვენი ეკონომიკის საკვანძო ამოცანაა“, „ეკონომიკა ეკონომიური ცხოვრებისა“, „ეკონომიკა ეკონომიური ზრდა იყოს“ და სხვ.

საზოგადოების ორგანიზაციები შინაარსიან ლექციურ მუშაობას ეწევიან აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის, ორგანიზაციულ-სამეურნეო სტრუქტურის გაუმჯობესების, სოფლად სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების როლის ამაღლების ამოცანებთან დაკავშირებით. ეკონომიკურ პროპაგანდაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებს შორის ქალაქების რუსთაველ, ეუთაისის, ფოთის, აბაშის რაიონის საუკეთესო შრომითი კოლექტივების მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, რომლის მიზანია მრეწველობაში სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფა, კოლმეურნეობრივ-საბჭოთა მეურნეობრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

საზოგადოების გამგეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან ერთად ლექტორთა და სპეციალისტთა დასახმარებლად სცემს ბიბლიოთეკას „ყურადღება, გამოცდილება“, რომელშიც შედის ბროშურები „სიტყვა და საქმე“, „ეფექტიანობა და ხარისხი (მართვის კომპლექსური სისტემა“), „შრომითი კოლექტივის ორგანიზებისა“ და სხვ.

შექმნილია ლექტორთა სპეციალიზებული ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს რესპუბლიკის, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა საწარმო-ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობა-საბჭოთა მეურნეობებში ლექციებით კოლექტიურ გასვლებში, რომლებიც ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების შედეგებს.

საზოგადოებრივი აზრის, შრომელთა ინტერესებისა და მოთხოვნების შესასწავლად რესპუბლიკის გგმგეობასთან ფუნქციონირებს ლექციური პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორთა კვლევის ცენტრი.

გაძლიერდა საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციათა საშეფო დახმარება სოფლის რაიონული ორგანიზაციებისადმი.

რესპუბლიკაში მოგვარებულია ლექტორთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი სისტემა — მუშაობს 11 მუდმივმქმედი რესპუბლიკური საპრობლემო სემინარი, სადაც სწავლობს დაახლოებით 1,5 ათასი სპეციალისტი, რომლებიც საზოგადოების რესპუბლიკურ ორგანიზაციათა ხაზით გამოდიან, ანალოგიური სემინარები მოქმედებს საზოგადოების საქალაქო და რაიონულ რგოლებში.

საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ საქმიანობის გამოცდილების ფართო გავრცელების რეკომენდაცია მისცა. (საქინფორმი).



ვინც ერთხელ სწვევია ბუნების სილამაზით დაჯილდოებულ კურორტ შოვს, არასოდეს დაავიწყდება მისი თოვლიანი მწვერვალები, ნაძვნარითა და ფიჭვნარით შემკული მთები, სამკურნალო წყლები, ათასობით დამსვენებელსა და ტურისტს რომ იზიდავს ქვეყნის ყველა კუთხიდან.

კურორტს ახლახან შეემატა დედათა და ბავშვთა პანსიონატის ახალი ოთხსართულიანი შენობა. აქ პირველ დამსვენებლებს 1984 წლის სეზონში ელიან.

სურათზე: დედათა და ბავშვთა პანსიონატის ახალი შენობა.

ა. ჩარკვიანის ფოტო.

საფეხბურთო მერიდიანებზე

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

საქართველოს სპორტკომიტეტმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი **დავით ყიფიანი.**

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲡ

10 ნოემბერს პორტუგალიაში გაემგზავრნენ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების წევრები, რომლებიც 13 ნოემბერს ამ ქვეყნის ნაკრებ კოლექტივთან გამართავენ ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩს (მეორე ჯგუფი). საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან: **მეკარეები** — რინატ დასაევი და ვიქტორ ჩანოვი; **მცველები** — სერგი ბოროვსკი, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ანატოლი დემიანენკო, სერგი ბალტაჩა; **შუა ხაზისა და საერიშო ხაზების მოთამაშეები** — ლეონიდ ბურიაკი, ანდრია ბალი, იური გავრილოვი, თეოდორე ჩერენკოვი, გენადი ლიტოვჩენკო, ალექსანდრე თარასენკო, ხორენ ოსანესიანი, სერგი როდიონოვი, ვადიმ ევტუშენკო, ოლეგ ბლოხინი და სერგი ანდრეევი. მატჩის მონაწილეებს უმასპინძლებს ლისაბონის სტადიონი „ლუში“. თამაში დაიწყება მოსკოვის დროით 18 საათზე.

ᲞᲠᲘᲖᲘᲠᲑᲘ, ᲞᲠᲘᲖᲘᲠᲑᲘ...

ახლა, როცა ფეხბურთელთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდა, შესაძლებლობა გვეძლევა მკითხველებს გავაცნოთ, ვინ რა პრიზს დაეუფლა: **გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი** (დაიწყო საბჭოთა არმიის ცენტრალურმა სპორტკლუბმა გუნდისათვის, რომელიც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანს) გადაეცემა „დნეპრს“ (დნეპროპეტროვსკელებმა გაიტანეს 63 ბურთი), **პრიზი საუკეთესო ბომბარდირს** (დაიწყო გაზეთ „ტრუდის“ რედაქციამ) — სპარტაკელ იური გავრილოვს (გაიტანა 18 ბურთი), **დიდი ანგარიშის პრიზი** (დაიწყო ყოველკვირეული „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქციამ) — „სპარტაკს“ (8 მატჩი მოიგო სამი და მეტი ბურთის სხვაობით), **ძირითად და დუბლიორთა შემადგენლობათა ჯამით ყველაზე მეტი ქულის დაგროვებისათვის** (სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი) — კიევის „დინამოს“ (91 ქულა), **პრიზი საუკეთესო სხვაობისათვის** (დაიწყო უკრაინის ყურნალ „სპორტის“ რედაქციამ) — „სპარტაკს“ (მეტოქეთა კარში გაიტანა 60 ბურთი, საკუთარში მიიღო 25-35 ბურთი), **„პროგრესის თასი“** (დაიწყო უკრაინის „რაბოჩაია გაზეთის“ რედაქციამ) — „დნეპრს“ (ბარშანდელი მეკარე ადგილიდან გადაანაცვლა პირველ ადგილზე), **პრიზი „ავტორიტეტთა რისხვა“** (დაიწყო ყოველკვირეული „სპორტივნაია მოსკვას“ რედაქციამ) — „ყალგირისს“ (პრიზიორთა წინააღმდეგ შეხვედრებში „ყალგირისმა“ „ჩერნომორეცთან“ ერთად 6-6 ქულა დააგროვა. უპირატესობა მიეცა „ყალგირისს“, ვინაიდან იგი „ჩერნომორეცზე“ უკეთეს ადგილზე გამოვიდა), **პრიზი „აგრესიული სტუმარი“** (დაიწყო უკრაინის გაზეთ „კომსომოლსკოე ზნამიას“ რედაქციამ) — „სპარტაკს“ (მეტოქეთა მოედნებზე დაგროვა ყველაზე მეტი ქულა — 20), **პრიზი დუბლიორთათვის** (დაიწყო საკავშირო სპორტკომიტეტმა) — კიევის „დინამოს“ (დაგროვა 53 ქულა და პირველობა მოიპოვა), **პრიზი „გამარჯვებისაკენ სწრაფვისათვის“** (დაიწყო გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ რედაქციამ) — „ყალგირისს“ (სამი ხსეთი მატჩი მოიგო, როცა თავდაპირველად მეტოქე იყო დაწინაურებული). ასეთივე მონაცემები ჰქონდათ „ზენიტს“ და „დნეპრს“. მაგრამ „ყალგირისს“ იმიტომ მიეცა უპირატესობა, რომ მან სხვადასხვა მეტოქეთა შორის უკეთეს ადგილზე მყოფ „შახტიორს“ მოუგო შეხვედრა), პრიზი **„პირველი სიმაღლე** (დაიწყო გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ რედაქციამ) — „ყალგირისს“ (პირველ წრეში გამარჯვებისათვის), **პრიზი „საუკეთესო მეკარეს“** (დაიწყო ყურნალმა „ოგონიოკმა“) — სპარტაკელ რინატ დასაევს (აღსანიშნავია, რომ მან ჩემპიონატის ოცდათოთხმეტივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა), **სამართლიანი თამაშის პრიზი მიეკუთვნა** (დაიწყო ყურნალ „ფლოვეკ ი ზაკონის“ რედაქციამ) „ფახთაქორს“ („ფახთაქორისა“ და „ნისტრუს“ მოთამაშეებმა ყველაზე ნაკლები გაფრთხილება მიიღეს — 7-7. „ფახთაქორი“ უკეთეს ადგილზე გამოვიდა და ამიტომ უპირატესობა მას მიეკუთვნა).

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

12 ნოემბერს ბათუმში გაიმართება მეორე ლიგის ზონებში გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდების პირველ ლიგაში გადასასვლელი ტურნირის ბოლო მატჩი. ბათუმის „დინამო“ მიიღებს კუბიზშვილის „კრილია საბჭოთას“. კუბიზშვილელებმა ბოლოსწინა შეხვედრაში უმასპინძლეს ფერგანის „ნეფტიანიკს“ და გიმარჯვეს ანგარიშით 1:0. ახლა ამ ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კრ. სოვეტოვი“	3	2	1	0	3-1	5
„დინამო“ (ბ)	3	1	1	1	2-1	3
„ნეფტიანიკი“	4	0	2	2	1-4	2

იმასათვის, რომ ბათუმელებმა პირველი ლიგის საგზური მოიპოვონ, საჭიროა გამარჯვება თუნდაც მინიმალური ანგარიშით 1:0. ამ შემთხვევაში ბათუმის „დინამოს“ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა უკეთესი ექნება და დებულების თანახმად უპირატესობა მას მიენიჭება.

ᲡᲐᲖᲗᲐᲛᲠᲝ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

თბილისს გარნიზონის უფროსის ბრძანებით, თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების, სამხედრო სასწავლებლებისა და დაწესებულებების პირადი შემადგენლობა 1983 წლის 10 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე გადადის საზამთრო ფორმის ტანსაცმლის ტარებაზე.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

Д. А. ТОРАДЗЕ ᲓᲐᲛᲭᲠᲘᲓᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 1983 წლის 12 ნოემბერს დღის 1 საათზე — თბილისის სარჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობაში. გამოსვენება — 12 ნოემბერს 3 საათზე.

დაკრძალვა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისლაურეატი, სკკპ წევრი

ᲓᲐᲕᲘᲗ (ᲒᲣᲒᲣᲚᲘ) ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲗᲝᲠᲐᲫᲔ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ



საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არალ-პაიგამბარის ნაკრძალი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელიწადის დრონი“. 11.00 — მხატვრული ფილმი „ქორწილის დღე დასადგენია“. 12.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და სოფელი“. 13.35 — მოსწავლეთათვის — „სამართლისმცოდნეობა. 17.00 — გადაცემები მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.05 — კონცერტი. 18.35 — „ვერნისაჟი“. 19.10 — რეკლამა. 19.20 — „მომძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნებაზ“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „საერთაშორისო დღიური“. 21.00 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი. 21.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბზიფის ხეობა“. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „შეხვედრა მიხეილ ქელეიძესთან“. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.30 — „მუსიკოსის გახსენება“ — ანასტასია ვორსლაძე. 18.00 — განცხადებები. 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი კრენგოლმი“. 18.25 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთავარია — ხარისხი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები ანატოლი პაპანოვთან“. 11.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კუმლი“. 12.00 — ბბიტურინენგთათვის — ქიმია. 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაუფრთხილდით მიწას“. 13.30 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.25 — შვეისწავლეთა ინგლისური ენა. 16.55 — ნოდარ დუმბაძე — „ფურცლები ნაწარმოებებიდან“ (მ.). 17.55 — განცხადებები. 18.00 — „მეცნიერების სამყაროში“. 18.20 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მამა“. 18.45 — „შუქი სულისა“ — მონადირე ნ. ჯანაშია. 19.10 — „ჩვენი სტუმრები“ (ამერიკელი გიტარისტი ელ. ლეტონი). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „სტუდია „დიალოგი“ (მეტალურგია, პრობლემები, პერსპექტივები). 21.30 — კონცერტი „მელრის მარლენ ადამაძე“. 21.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ — მხატვრული ფილმი „სასტუმრო „დალუქულ ალპინისტთან“. 00.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.50 — მხატვრული ფილმი „ლაი ქარი“. 18.10 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალახინის მაქმანები“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვოლგის ავტოქარხანა — გუშინ, დღეს, ხვალ“. 11.05 — „მოგზაურთა კლუბი“ (მ.). 12.05 მხატვრული ფილმი „სასტუმრო „დალუქულ ალპინისტთან“. 13.35 — მათემატიკის ტელეკურსი. 17.00 — შვეისწავლეთა გერმანული ენა. 17.30 — პროგრამა მოსწავლეთათვის — მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოსანი ტომარა“. 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ჩუკოკალა“ (კ. ჩუკოვსკის ნაწარმოების მიხედვით). 18.45 — „ჩვენი პრესკონფერენცია“ (შეხვედრა გალინა ჯანშთან). 19.20 — განცხადებები. 19.25 — „სოცშეჯიბრება — ძმობის ხიდი“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — „თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქცია“ — გადაცემა მეორე. 21.35 — „ჩვეულებრივად კარგი სიმღერა“ (ყაჩეიშვილების ოჯახი). 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „არსენა“ (არსენა ოძელაშვილის დაღუპვის 140 წლისთავის გამო). 00.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 15.50 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 16.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი: „გზა მეცნიერებისაკენ“, „ბარსკვლავებიდან ატომამდე“. 17.20 — განცხადებები. 17.25—მ. კაჟლაევის საავტორო კონცერტზე. 18.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — კინონარკვევი „სხვა მწვერვალი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ქალაქი ანგარაზე“, „ქვა, ხე, ლითონი“. 10.30 — მეექვსე კლასის მოსწავლეთათვის — გეომეტრია. 11.00 — ქართული მხატვრული ფილმი „არსენა“. 12.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზურაბ წერეთელი“. 13.00 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 13.30 — ბბიოლოგია. 17.00 — შვეისწავლეთა ფრანგული ენა. 17.30 — პროგრამა მოსწავლეთათვის. მულტიპლიკაციური ფილმი „ექიმი თხუნელა“. 17.50 — „შეხვედრა მწერალთან“ (დ. ვადაჭკორია). 18.20 — განცხადებები. 18.25 — „შრომა და დასვენება“ — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი. 19.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ — „ადამიანის სულიერი სამყარო“ (მ.). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ახალგაზრდული შეხვედრები“ (სტუდენტთა საერთაშორისო დღე). 21.25 — რ. გორელაშვილის საფორტეპიანო ტრანსკრიპციები. 22.00—„ვრემია“. 22.35 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.40 — მხატვრული ფილმი „გარაჟი“, 00.15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.40 — მხატვრული ფილმი „რბოლა“. I სერია. 18.10 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მისკარი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — მხატვრული ფილმი „გარაჟი“. 11.35 — „სტუმრად კარლო კალაძესთან“. 12.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ემერიოვო“ და „დნეპროპეტროვსკი“. 13.30 — ფიზიკის ტელეკურსი. 16.40 — პროგრამა. 16.45 — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.15 — პროგრამა მოსწავლეთათვის — „აბა, ფეხია“. 17.45 — „წიგნი ჩემი. მეგობარი“. 18.15 — „ფრილობაზე ითქვა, რა გაკეთდა“ — „ხვალ ახალი მიჯნაა“. 18.45 — „ხედი ვაგონის სარკმლიდან“. 19.00 — „პირველი ქართველი ენტომოლოგი — აკადემიკოსი ლეონიდე კალანდაძე“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.50 — „საუბარი მწერალთან“ (რ. ჭეიშვილი — „მუსიკა ქარში“). 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე“. 22.40 — კონცერტი „მელრის ლევ ლეშჩენკო“. 23.25 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „რბოლა“. II სერია. 18.10 — რეკლამა. 18.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვასუნი“. 18.25 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შაბათს დღეით“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — შვეისწავლეთ ქართული ენა. 10.30 — „ხალხური შემოქმედება“ — კონცერტი. 11.00 — შვეისწავლეთ რუსული ენა. 11.30 — „მეტი საუკეთესო საქონელი“ (მ.). 12.00 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 12.05 — „ჩვენი სოფელი“ (მთა, სოფელი, პრობლემები). 12.55 — „ბავშვი შეიცნობს სამყაროს“ (თბილისის ლოგოპედიური ბაგა-ბაღი). 13.30 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.35 — მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერება. 14.35 — „იავნანას“ წერილები კვალდაკვალ“. 15.30 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „ოცა ახლში მოვედი“. 15.45 — „დღეს სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეა“ — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდლის, არტილერიის მთავარი მარშალის ვ. ფ. ტოლუბკოს გამოსვლა (მ.). 16.00 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის „სამხრეთ სოფლების სადარაჯოზე“. საინფორმაციო-ვიზიო ჟურნალი. 16.45 — „ბავშვი ეზოში ხუთი წუთი“. 16.50 — „სახალხო სტუდია „ოპიზარი“. 17.20 — „ბუნების კარი“. 18.05 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 18.10 — მოსწავლეთათვის „მუსიკალური ალბომი“ — პ. ჩაიკოვსკი. 18.45 — „კინოფიშა“. 19.10 — „ზომიერლის გახსენება“ — მერი შილდელი. 19.50 — „მოამბე“. 20.20 — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის ი. ფუკოვის საუბარი (მ.). 20.50 — „ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი“ — თამაზ ყურაშვილი. 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფერთა სიმფონია“. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 22.40 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი სტადიონი“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფშავი“. 10.25 — „რიტმი, რიტმი, რიტმი“ — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.45 — „საკვირაო გამოფენა“. 11.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „ნიუტონის ვაშლი“. 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური გადაცემა (მ.). 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაშანტირაძე). 13.45 — „თვალთაი“ — სატელევიზიო ჟურნალი. 14.25 — „საკვირაო გამოფენა“. 14.30 — „შეხვედრა დიმიტროველებთან“. 16.40 — „საკვირაო გამოფენა“. 16.45 — „ვესტნიკი“. 17.15 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა“ — მხატვრული ფილმი „სერიოჟა“. 18.40 — „საკვირაო გამოფენა“. 18.45 — „ზღაპრის გუდა“. 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.). 19.45 — „საკვირაო გამოფენა“. 19.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოდგომა მთებში“. 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „საკვირაო გამოფენა“. 20.35 — „ერთი სეზონი პანტომიმის თეატრში“. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „საფეხბურთო მიმოხილვა“ (მ.). 23.05 — „ლიტერატურული თეატრი“ — „ამ მარადიულ მზის ორბიტაში“.

რა მოვისმინოთ



საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა“, 7.30 — საერთაშორისო დღიური (მ.). 7.40 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.) 8.15 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. (გაგრძელება). 9.25 — ლიტერატურული კომპოზიცია „შემოდგომის სურათები“. 9.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 11.15 — „მომძმე საბჭოთა რესპუბლიკებში“. 11.30 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა. 12.15 — ქართული ეკრანის მელოდიები. 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ილია ჭავჭავაძის ლექსები. 12.30 — „ქალაქური პანგები. 12.40 — კომეწტარი საერთაშორისო თემაზე. 12.45 — ვ. სარასატე. სავიოლინო პიესები. 13.40 — „ლიტერატურული კითხვა“. თ. ბიბილურის მოთხრობა „ყველაწმინდა“. 17.00 — უკანასკნელი ცნობები. 17.15 — მოსწავლეთათვის — „პატარა უფლისწული“. რადიოდადგმა. II ნაწილი. 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება. 19.00 — საუბარი „სოციალისტური დისციპლინა და წარმოების ეფექტიანობა“. 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19. 40 — „ადამიანი და კანონი“. რადიოჟურნალი (მ.). 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“ ა. ჩხაიძე „შთამომავლობა“ — ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი. 23.30 — მელოდია ზ. სოტკილავა. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 6.08 — უკანასკნელი ცნობები. 6.38 — ჩვენი მთა-ბარის პანგები. 6.50 — „სოფლის დილა“. 7.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“. 8.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 8.37 — მელოდიიდან მელოდიამდე. 9.25 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 9.37 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე. 9.45 — ა. ჩიმაკაძე. სიმღერები. 11.15